# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N113/გ

ქ. მცხეთა

24 ოქტომბერი 2016 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 3¹ პუნქტის ა) ქვეპუნქტის საფუძველზე, ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, შემდგომში „შემსყიდველი“, წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის ზურაბ აბესაძის სახით და მეორეს მხრივ, ი.მ „ბადრი სოლოღაშვილი“, შემდგომში „მომწოდებელი“, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 სოფ. მუხრანში ადმინისტრაციული შენობის გაზიფიცირების სამუშაოები. (CPV45300000).

## 2. სამუშაოს შესრულების ვადა და ღირებულება

2.1 სამუშაოს შესრულების ვადაა 2016 წლის 10 ნოემბრის ჩათვლით ხელშეკრულებაზე ხელისმოწერის დღიდან;

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება 200 (ორასი) ლარი.

## 2. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღეში.

## 4. მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1 „მომწოდებელი“ კისრულობს ვალდებულებას:

4.1.1 შეასრულოს სამუშაო ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

4.1.2 „მომწოდებელი“ ვალდებულია უზრუნველყოს ხარისხიანი და უსაფრთხო სამუშაოები.

4.2 „შემსყიდველი“ კისრულობს ვალდებულებას.

4.2.1 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

## 5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „მომწოდებელი“ არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი“ წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს“ უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

5.3 სამუშაოს შესყიდვის არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი“ უფლებამოსილია „მომწოდებელს“ არ აუნაზღაუროს სამუშაოს ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო შესასრულებელი სამუშაოს ღირებულების 0,5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

## 6. ხელშეკრულების პირობების კონტროლი

6.1 მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს, ობიექტზე შესრულებული სამუშაოების აქტების (ე.წ. ფორმა#2 ან/და ფორმა#3) შეფასებას, ინსპექტირებას და ხელისმოწერით დადასტურებას განახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურულ სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამსახური.

## 7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

7.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

## 8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

8.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 9. ფორს – მაჟორი

9.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

## 10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

10.2 თუ „მომწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 11. სხვა პირობები

11.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

11.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

11.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

## 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## 13. მხარეთა რეკვიზიტები

| „მოწოდებელი" | „შემსყიდველი" |
|---|---|
| ი/მ „ბადრი სოლოღაშვილი | მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა |
| ს/კ 31001028258 | ს/კ 236098824 |
| ბანკი: „საქართველოს ბანკი " | ბანკი: „სახელმწიფო ხაზინა |
| ბანკის კოდი: BAGAGE22 | ბანკის კოდი: TRESGE22 |
| ა/ა GE79BG0000000560212800 | ა/N GE24NB0330100200165022 |
| მის: მცხეთა, სოფ. ძეგვი | მის: ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. N7 |
| ტელ: 593 34 52 27 | |
| ინდ. მეწარმე | მუნიციპალიტეტის გამგებელი |